ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების
ცენტრი

დამხმარე სახელმძღვანელო მედიისათვის

პარლამენტის არჩევნები
2012

სარჩევი

თავი 1. ზოგადი ნაწილი 3
1.1. მედიის როლი საარჩევნო პროცესში 3
1.2. მედიის წარმომადგენლების უფლებრივი მდგომარეობა საარჩევნო პროცესში 4

თავი 2. კენჭისყრის დღემდე პერიოდი 6
2.1. მედიის წარმომადგენლების აკრედიტაცია 7
2.2. საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება 7
2.3. საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება 8
2.4. ამომრჩეველთა ერთიანი სიის გამოქვეყნება 9
2.5. ამომრჩეველთა სპეციალური სია 13
2.6. გადასატანი საარჩევნო ყუთის სია 14
2.7. არჩევნებში მონაწილე სუბიექტების რეგისტრაცია 16
2.8. დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაცია 20
2.9. წინასაარჩევნო კამპანია 25
2.10. წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა 35
2.11. კენჭისყრის შენობის მოწყობა 46

თავი 3. კენჭისყრის დღე 48
3.1. საარჩევნო უბნის გახსნა 48
3.2. კენჭისყრის პროცესი 59
3.3. საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება 69

თავი 4. კენჭისყრის დღის შემდგომი პერიოდი 87
4.1. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება 87
4.2. ცესკოს მიერ არჩევნების შედეგების შეჯამება 88

თავი 5. საარჩევნო კომისიებში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესი 90
5.1. საუბნო საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესი 90
5.2. საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის განხილვის წესი 93
5.3. ცესკოში განცხადება/საჩივრის განხილვის წესი 94
5.4. საჩივრების რეესტრი 94

თავი 1

ზოგადი ნაწილი

1.1. მედიის როლი საარჩევნო პროცესში

მედიის როლი საარჩევნო პროცესში საზოგადოებისათვის არჩევნების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას უკავშირდება, რითაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინფორმირებული ელექტორატის ჩამოყალიბებასა და ამომრჩევლის მიერ გააზრებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთებას. აღნიშნული საპასუხისმგებლო საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისათვის მედია უნდა ხელმძღვანელობდეს მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებული და საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული შემდეგი პრინციპებით[1]:

- **კანონის პატივისცემის დემონსტრირება** - დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა
- **პროფესიონალიზმი** - საქმიანობა განახორციელოს საყოველთაოდ აღიარებული პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, ყველა ლეგიტიმური ინტერესის გათვალისწინებით
- **მიუკერძოებლობა** - თავი შეიკავოს მოსაზრებათა ცალმხრივი ინტერპრეტაციისა და ფაქტების დამახინჯებისაგან

[1] საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს საარჩევნო კოდექსი"; საქართველოს კანონი "მაუწყებლობის შესახებ"; "მაუწყებელთა ქცევის კოდექსი"; Guidelines on Media analysis during election observation missions. OSCE/ODIHR and the Venice Commission. Adopted by the Council for Democratic Elections (Venice, 2009).

- **”ამომრჩევლის სამსახურში”** - ხელი შეუწყოს ელექტორატისთვის ობიექტური და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას
- **სამართლიანი მოპყრობა** - სამართლიანობის დაცვითა და პატივისცემით მოეპყროს ყველა პირს. არჩევნების პერიოდში რომელიმე პარტიისთვის საეთერო დროის გამოყოფისას არ დაუშვას დისკრიმინაცია

1.2. მედიის წარმომადგენლების უფლებრივი მდგომარეობა საარჩევნო პროცესში

მედიის წარმომადგენლებს უფლება აქვთ თავისუფლად და დაუბრკოლებლად დააკვირდნენ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობას და გააშუქონ

შესაბამის საარჩევნო კომისიაში აკრედიტებულ მედიის წარმომადგენლებს **უფლება აქვთ:**

- დაესწრონ საარჩევნო კომისიების სხდომებს;
- კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდნენ კენჭისყრის შენობაში;
- შეუზღუდავად გადაადგილდენენ საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად, კენჭისყრის პროცესისათვის ხელის შეუშლელად, დააკვირდნენ კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს.

ყურადღება!

მედიის წარმომადგენლის საარჩევნო კოდექსით დადგენილი უფლებების შეზღუდვა ან მისი საქმიანობისათვის ხელის შეშლა გამოიწვევს შესაბამისი პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 91).*

მედიის წარმომადგენელს **უფლება არ აქვს** *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 41):*

- გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე;
- აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;
- ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი;

ყურადღება!

ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს შესაბამისი პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 92).*

- ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;
- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე.

ყურადღება!

საარჩევნო კომისიას უფლება აქვს, კომისიის მუშაობისთვის ხელის შეშლისა და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, მედიის წარმომადგენელი გააძევოს კომისიის განთავსების შენობიდან *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 8.18).*

თავი 2

კენჭისყრის დღემდე პერიოდი

ძირითადი აქტივობები	
2.1.	მედიის წარმომადგენლების აკრედიტაცია
2.2.	საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება
2.3.	საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება
2.4.	ამომრჩეველთა ერთიანი სიის გამოქვეყნება
2.5.	ამომრჩეველთა სპეციალური სიის ფორმირება
2.6.	გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირება
2.7.	არჩევნებში მონაწილე სუბიექტების (პარტია, საარჩევნო ბლოკი, საინიციატივო ჯგუფი, კანდიდატები) რეგისტრაცია
2.8.	დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაცია
2.9.	წინასაარჩევნო კამპანია
2.10.	წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა
2.11.	კენჭისყრის შენობის მოწყობა

2.1. მედიის წარმომადგენლების აკრედიტაცია *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 44)*

რამდენიმე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე მედიის წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებს **ცესკოს მდივანი** ან შესაბამისი **საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნები**.

მხოლოდ ერთი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე მედიის წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებს შესაბამისი **საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი**.

განცხადება აკრედიტაციის შესახებ წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-3 დღისა (28 სექტემბერი).

განცხადების წარდგენიდან 1 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი წყვეტს მედიის წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს და აკრედიტებულ წარმომადგენლებს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის ვადაში გადასცემს სათანადო მოწმობას, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს **სამკერდე ნიშანს**. აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში იმავე ვადაში გადასცემს სათანადო განკარგულებას **(განკარგულებაში უარი დასაბუთებული უნდა იყოს)**.

2.2. საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 19.3-5)*

საოლქო საარჩევნო კომისია შედგება 13 წევრისაგან *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 19.3-5):*

- 5 წევრს ირჩევს ცესკო (5 წლით);

- 7 წევრს ნიშნავენ პარტიები (ინიშნებიან არჩევნების დანიშვნის შემდეგ და უფლებამოსილება უწყდებათ საბოლოო შედეგების გამოცხადებისთანავე);
- 1 წევრს ირჩევს ცესკო (არჩევნების დანიშვნის შემდეგ, მას უფლებამოსილება უწყდება საბოლოო შედეგების გამოცხადებისთანავე).

2.3. საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 24.1,2,4)*

საუბნო საარჩევნო კომისია შედგება 13 წევრისაგან:

- 6 წევრს კონკურსის საფუძველზე ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია;
- 7 წევრს ნიშნავენ პარტიები.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილება იწყება საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღეს და წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 25.14)*.

<u>ყურადღება!</u>
აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა კენჭისყრის დღემდე 15 დღით ადრე (16 სექტემბერი).

2.4. ამომრჩეველთა ერთიანი სიის გამოქვეყნება *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 31,184,185[1])*

საუბნო საარჩევნო კომისიას საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ამომრჩეველთა ერთიანი სია გადაეცემა არა უგვიანეს პირველი შეკრების დღისა (28 აგვისტო), ხოლო არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-2 დღისა (29 სექტემბერი) – დაზუსტებული სიების საბოლოო ვერსია:

- საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილი ვერსია (სამაგიდო სია)
- საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ვერსია (კედლის სია)

საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი სია დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

ყურადღება!
დაუშვებელია საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი ვერსიის (სამაგიდო სიის) და მისი ასლის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა.

ამომრჩეველთა ერთიანი სიის მონაცემთა გადამოწმება

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 31.7; 184; 185[1])

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას უზრუნველყოფს **ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია**.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის გადაწყვეტილებით, განსხვავებული ჩანაწერით – **„რეგისტრაციის მისამართიდან მოხსნილია“** – შეყვანილი იქნებიან ამომრჩევლები:

- რომელთა რეგისტრაციის მისამართზე ცხოვრების ფაქტი არ დასტურდება იმავე მისამართზე რეგისტრირებული პირის განცხადებით;
- რომელთა რეგისტრაცია გააუქმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

აღნიშნული ამომრჩევლები მონაწილეობენ როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, ხმას აძლევენ **ბოლო რეგისტრაციის ადგილის მიხედვით** და ისინი ამომრჩეველთა სიებში შეყვანილი იქნებიან ანბანურად დალაგებული სიების შემდეგ.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის გადაწყვეტილებით, გრაფაში „ფაქტობრივი მდგომარეობა“, იმ ამომრჩევლის გვარის გასწვრივ, რომლის საზღვარგარეთ ყოფნა დასტურდება იმავე მისამართზე რეგისტრირებული პირის განცხადებით, შეიტანება ჩანაწერი „არის საზღვარგარეთ“. აღნიშნული ამომრჩეველი კენჭისყრაში მონაწილეობს ზოგადი წესით.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია უფლებამოსილია ამომრჩევლად დაარეგისტრიროს **18 წლის ასაკს მიღწეული პირი**, რომელიც **დაბადებულია და ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოში** და საქართველოს კონსტიტუციის 104[4] მუხლის ამოქმედების მომენტისათვის (29.05.2012) აქვს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა.

აღნიშნული პირი რეგისტრირდება საქართველოში მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანოს წარდგინების ან საკუთარი განცხადების საფუძველზე.

საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს გაეცნოს ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებულ ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისათვის მიკუთვნებულ ვერსიას და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვოს ამომრჩეველთა მონაცემებსა და სიაში ცვლილებების შეტანა.

2012 წლის 1 აგვისტოდან არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-14 დღისა (17 სექტემბერი) საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანის თაობაზე შესულ განცხადებებს საარჩევნო ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ გადასცემს ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიას.

ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანის თაობაზე განცხადებები შეიტანება პირდაპირ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიაში ან საარჩევნო ადმინისტრაციაში. საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია მიღებული განცხადებები დაუყოვნებლივ გადასცეს ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიას. კომისია ვალდებულია განცხადების შესვლიდან 2 კალენდარული დღის ვადაში მიიღოს შესაბამისი დასაბუთებული გადაწყვეტილება და დაუყოვნებლივ აცნობოს საარჩევნო ადმინისტრაციას, რომლის საფუძველზედაც საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გამოსცემს განკარგულებას:

- ამომრჩეველთა მონაცემებში/ სიებში ცვლილების შეტანის შესახებ, ან
- ამომრჩეველთა მონაცემებში/ სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ.

ყურადღება!

განკარგულება ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და მისი გამოცემის მომდევნო დღიდან, მოთხოვნისთანავე, უნდა გადაეცეს განმცხადებელს.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში ჩანაწერის - „არის საზღვარგარეთ“ ან „რეგისტრაციის მისამართიდან მოხსნილია“ შეტანის შესახებ დაინტერესებული პირის განცხადების თაობაზე კომისისია დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იღებს განცხადების შესვლიდან 14 კალენდარული დღის ვადაში და დაუყოვნებლივ აცნობებს საარჩევნო ადმინისტრაციას.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება სიაში ცვლილების შეტანის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ, მისი გამოცემიდან 2 დღის ვადაში შეიძლება გაასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში.

2.5. ამომრჩეველთა სპეციალური სია *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 32)*

ამომრჩეველთა სპეციალურ სიას ადგენს და განკარგულებით ამტკიცებს საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-3 დღისა (28 სექტემბერი) და დაუყოვნებლივ გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას.

ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში საოლქო საარჩევნო კომისიას შეყავს:

- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, რომლებიც საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო, კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;
- ამომრჩევლები, რომლებიც სამკურნალოდ წვანან საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, კენჭისყრის დღისთვის ვერ იქნებიან გაწერილი ამ დაწესებულებიდან;
- ამომრჩევლები, რომლებიც კენჭისყრის დღეს პატიმრობაში იმყოფებიან;
- საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებული) ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურების სამხედრო მოსამსახურეები;
- კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლები.

თუ კენჭისყრის დღეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს ამომრჩეველი, რომელმაც არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-14 დღისა (17 სექტემბერი) ვერ მოასწრო მიემართა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიისთვის სიაში რეგისტრაციის მოთხოვნით (ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან, გამოეწერა საავადმყოფოდან, განთავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან), შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში (ცნობა საზღვრის გადაკვეთის შესახებ - ჩანაწერი პასპორტში, ცნობა სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერის შესახებ, ან ცნობა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან განთავისუფლების შესახებ), მას სპეციალურ სიაში რეგისტრაციაში გაატარებს საუბნო საარჩევნო კომისია და ამომრჩეველთა სიებს დაურთავს წარდგენილი დოკუმენტების ფოტოასლებს *(საარჩევნო კოდექსი მუხლი 31.12).*

2.6. გადასატანი საარჩევნო ყუთის სია *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 33)*

გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირებაზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისია. გადასატანი საარჩევნო ყუთის სია დგება ერთიანი და სპეციალური სიების საფუძველზე.

ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეჰყავთ თუ:

- შეზღუდული შესაძლებლობის ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა (ასეთი ამომრჩევლების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო უბანზე ერთიან სიაში არსებული ამომრჩევლების 3 პროცენტს. აღნიშნული რაოდენობის შევსების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია ყოველი

ახალი შემოსული განცხადების შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს საოლქო საარჩევნო კომისიას);

- იმყოფება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ძნელად მისადგომ ადგილას;

<u>ყურადღება!</u>

- **ამომრჩეველი საუბნო საარჩევნო კომისიას წერილობით ან სატელეფონო შეტყობინებით, გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით, მიმართავს კენჭისყრის დღემდე 2 დღით ადრე მაინც (28 სექტემბერი).**
- **კომისიის მდივანს ამომრჩეველი გადასატანი ყუთის სიაში შეყავს იმ შემთხვევაში, თუ იგი შეყვანილია ამომრჩეველთა ერთიან სიაში და მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი მიეკუთვნება იმ საარჩევნო უბნის ტერიტორიას, სადაც იგი რეგისტრირებულია.**

- იმყოფება პატიმრობაში;
- სამკურნალოდ წევს საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და მასში არ იხსნება საარჩევნო უბანი (კენჭისყრის დღეს სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციას საოლქო საარჩევნო კომისია გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 2 დღისა);
- სამხედრო მოსამსახურეა, მსახურობს სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში, რომელიც საარჩევნო უბნიდან შორსაა განლაგებული, და მასში არ იხსნება საარჩევნო უბანი.

საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს უფლება აქვთ, გადაამოწმონ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნის საფუძვლიანობა და არჩევნების დღემდე ნებისმიერ დროს დასვან საუბნო საარჩევნო კომისიის წინაშე ამ პირების გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანის მიზანშეწონილობის საკითხი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საუბნო საარჩევნო კომისია.

ყურადღება!
გადასატანი საარჩევნო ყუთის სია მისი შედგენისთანავე თვალსაჩინო ადგილას გამოიკვრება საუბნო საარჩევნო კომისიისა და კენჭისყრის შენობებში.

2.7. არჩევნებში მონაწილე სუბიექტების რეგისტრაცია *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 113 - 117)*

პარტიების/საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია

არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს **ცესკოს თავმჯდომარეს**:

- პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 57-ე დღისა (5 აგვისტო), თუ მას არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში;
- საპარლამენტო არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე, თუ მას არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში ან არ იღებს დაფინანსებას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ, შექმნან საარჩევნო ბლოკი. საარჩევნო ბლოკს რეგისტრაციაში ატარებს ცესკოს თავმჯდომარე, რისთვისაც მას არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 43-ე დღისა (19 აგვისტო) უნდა წარედგინოს ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამისილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება.

ყურადღება!

არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა (1 სექტემბერი) ცესკო პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სიას განცხადებების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე იმ პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ან რომელთა რეგისტრაციაც გაუქმდა, და ამის მიზეზებს.

პარტიული სიების რეგისტრაცია

რეგისტრირებული პარტიები და საარჩევნო ბლოკები არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა (1 სექტემბერი) ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგენენ პარტიულ სიებს.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს, წარადგინოს თითო პარტიული სია. წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი. პარტიულ სიას უნდა ერთოდეს საქართველოს პარლამენტის წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და

ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი და მისი ფოტოსურათი.

პარტიულ სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატი. ასეთ შემთხვევაში პარტიულ სიაში მიეთითება, რომ კანდიდატი წარდგენილია მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში.

პარტიული სია საარჩევნო რეგისტრაციაში გატარდება ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.

მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაცია

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის მიზნით ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 57-ე დღისა (5 აგვისტო), განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციაში ატარებს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს.

კანდიდატების რეგისტრაცია

მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვთ საარჩევნო კოდექსის შესაბამისად რეგისტრირებულ:

- არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას;
- საარჩევნო ბლოკს;
- ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს.

კანდიდატის წარდგენის შესახებ განცხადებას ორ ეგზემპლარად უნდა ერთოდეს საქართველოს პარლამენტის წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი, მისი ფოტოსურათი და ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50-ე დღისა (12 აგვისტო) შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია, ასევე, კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მიერ ცესკოს მიერ მითითებულ ანგარიშზე 5000-ლარიანი დეპოზიტის განთავსების დამადასტურებელი საბანკო დოკუმენტი.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა (1 სექტემბერი), ხოლო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს - არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 25-ე დღისა (6 სექტემბერი) (თუ თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემები არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, პარტიას/საარჩევნო ბლოკს ეძლევა დამატებითი ვადა საბუთების სრულყოფისთვის. შესწორებული მონაცემები მოწმდება და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი წყდება მათი წარდგენიდან 5 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-20 დღისა - 11 სექტემბერი).

2.8. დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაცია *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 39, 40)*

არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც გაივლიან რეგისტრაციას საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს ერთი წლისა რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომლის წესდებაც რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალიწინებს არჩევნებზე მონიტორინგს, ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას.

საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი, სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ორგანიზაცია ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტი/წესდება ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს, ადამიანის უფლებათა დაცვას და რომლის საქმიანობაც ეფუძნება შემდეგ **საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს**:

- საქართველოს კანონმდებლობის, სუვერენიტეტისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების პატივისცემა;
- საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლისგან თავის შეკავება;
- პოლიტიკური მიუკერძოებლობა;
- საარჩევნო პროცესის მონაწილეებისაგან ფინანსური დამოუკიდებლობა და დაფინანსების წყაროების გამჭვირვალობა;

- საერთაშორისო საარჩევნო დაკვირვების პრინციპების დეკლარაციით აღიარებული დებულებების დაცვა.

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის წესი და ვადა

ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას რეგისტრაციაში ატარებს:

- **საოლქო საარჩევნო კომისია**, თუ დაკვირვებას ახორციელებს ერთ საარჩევნო ოლქში;
- **ცესკო**, თუ დაკვირვებას ახორციელებს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში.

დამკვირვებელმა ორგანიზაციამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა (21 სექტემბერი) განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას და წარუდგინოს თავისი სადამფუძნებლო დოკუმენტის ან წესდების დამოწმებული ასლი. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ საარჩევნო ოლქის (ოლქების) დასახელება, რომელშიც ორგანიზაცია ახორციელებს დაკვირვებას.

საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში წყვეტს ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს.

კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-5 დღისა:

- **ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა** დამკვირვებელმა ორგანიზაციამ ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია (სიას უნდა დაერთოს ადგილობრივი დამკვირვებლების საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლები);

- **საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა** დამკვირვებელმა ორგანიზაციამ საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს უნდა წარუდგინოს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია (სიაში უნდა აღინიშნოს დამკვირვებლის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი).

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, **გარდა**:

- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა;
- საქართველოს პარლამენტის წევრისა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრისა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელისა და მისი მოადგილისა;
- მოსამართლისა;
- საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროების, დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებისა;
- პროკურატურის თანამდებობის პირისა;
- საარჩევნო სუბიექტისა და მისი წარმომადგენლისა;
- საარჩევნო კომისიის წევრისა.

საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა რეგისტრაციაში გაატაროს კანონის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი დამკვირვებელი (დამკვირვებლები) და ორგანიზაციას გადასცეს **დამკვირვებლის მოწმობა (მოწმობები)**, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს **სამკერდე ნიშანს**.

ცესკოში რეგისტრირებულ ადგილობრივ დამკვირვებელს უფლება აქვს, დაკვირვება განახორციელოს ყველა დონის ნებისმიერ საარჩევნო კომისიაში.

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელი **საოლქო საარჩევნო კომისიაში** და ის დამკვირვებელი, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებულ საარჩევნო უბანში, უფლებამოსილია, კენჭისყრის დღეს დაკვირვება განახორციელოს შესაბამისი ოლქის ტერიტორიაზე არსებულ **ნებისმიერ საარჩევნო უბანში**.

ყურადღება!
ერთ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს ერთი დამკვირვებლისა.

საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის წესი და ვადა

საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას რეგისტრაციაში ატარებს **ცესკო.**

საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-7 დღისა (24 სექტემბერი) განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს და წარუდგინოს დამფუძნებელი დოკუმენტის

ასლი. თუ დამკვირვებელი (დამკვირვებლები) სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელია, მან უნდა წარადგინოს მხოლოდ განცხადება და რწმუნების დამადასტურებელი საბუთი.

ამასთანავე, ცესკო უფლებამოსილია ორგანიზაციის რეგისტრაციისას მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, რომელიც შესაძლებელს გახდის ორგანიზაციის საქმიანობის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებთან შესაბამისობის დადგენას.

ცესკო განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში წყვეტს ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს.

კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-2 დღისა (29 სექტემბერი) რეგისტრირებულმა საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია დამკვირვებელთა შესახებ და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.

ცესკოს მდივანი დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა გამოსცემს განკარგულებას წარდგენილი დამკვირვებლის (დამკვირვებლების) რეგისტრაციაში გატარების ან რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმის შესახებ. დამკვირვებლის (დამკვირვებლების) რეგისტრაციაში გატარების შემთხვევაში ცესკოს მდივანი ორგანიზაციას გადასცემს დამკვირვებლის მოწმობას (მოწმობებს), რომელიც იმავდროულად წარმოადგენს სამკერდე ნიშანს.

ყურადღება!
ერთ საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს 2 საერთაშორისო დამკვირვებლისა.

რეგისტრაციაზე უარის თქმა

საარჩევნო კომისიას უფლება არა აქვს, დამკვირვებელ ორგანიზაციას უარი უთხრას რეგისტრაციაზე, თუ იგი აკმაყოფილებს საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

საარჩევნო კომისიის განკარგულება რეგისტრაციაზე **უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს** და ორგანიზაციას უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

2.9. წინასაარჩევნო კამპანია

წინასაარჩევნო კამპანია იწყება არჩევნების დანიშვნის მომენტიდან *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 45).*

საარჩევნო სუბიექტებსა და მათ მხარდამჭერებს უფლება აქვთ, გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით. საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას.

წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევისა და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ:

- საარჩევნო კომისიების წევრებს;
- მოსამართლეებს;

- საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, პროკურატურის, დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო მოხელეებს;
- გენერალურ აუდიტორს;
- საქართველოს სახალხო დამცველს;
- უცხო ქვეყნის მოქალაქესა და ორგანიზაციას;
- საქველმოქმედო და რელიგიურ ორგანიზაციებს;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებს;
- სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს, როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს (აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ პოლიტიკური თანამდებობის პირებზე[2] *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 49.2)).*

[2] პოლიტიკური თანამდებობის პირი – საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი, სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი.

ყურადღება!

საარჩევნო კამპანიის ჩატარება იკრძალება შემდეგი დაწესებულებების შენობებში:

- **სასამართლოები;**
- **სამხედრო ნაწილები;**
- **საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები.**

სააგიტაციო მასალა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 46)

საარჩევნო სუბიექტები (საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები) სარგებლობენ თანასწორი უფლებებით დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და სხვა.

ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

აკრძალულია!

- სააგიტაციო მასალის გავრცელებისთვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე, სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილ სხვა საშუალებათა ჩამორთმევა ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისთვის ხელის შეშლა.
- საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, საგზაო ნიშნებზე.
- დაუშვებელია და კანონით ისჯება საარჩევნო პლაკატების ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ისინი აკრძალულ ადგილებში არ არის გაკრული.

ბეჭდვით სააგიტაციო მასალაზე აღნიშნული უნდა იყოს:

- დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების სახელწოდებები, მისამართები;
- ინფორმაცია მასალის ტირაჟის, რიგითი ნომრისა და გამოშვების თარიღის შესახებ.

ყურადღება!

- აკრძალულია ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გავრცელება ამ ინფორმაციის მითითების გარეშე.
- ბეჭდვით სააგიტაციო მასალაზე რიგითი ნომრის აღნიშვნა საარჩევნო სუბიექტს ევალება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიენიჭება აღნიშნული ნომერი.

არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

ამომრჩევლის მოსყიდვა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 47)

არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე საარჩევნო სუბიექტებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს და მათ წარმომადგენლებს **ეკრძალებათ** პირადად ან ვინმეს მეშვეობით:

- საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა);
- შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა;
- უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა კანონით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება;
- საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით (მიუხედავად მათი ღირებულებისა).

არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს **ეკრძალებათ** პირადი

ფულადი სახსრებით ან/და საარჩევნო სუბიექტის სახსრებით ისეთი სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა (გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მოპოვებული სამუშაოს შესრულებისა ან მომსახურების გაწევისა), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას.

ყურადღება!
საარჩევნო სუბიექტს, რომელიც უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის ან მის სასარგებლოდ მოქმედი ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მეშვეობით ეწევა ზემოთ აღნიშნულ აკრძალულ საქმიანობას, ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით უუქმდება რეგისტრაცია.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 48)

ადმინისტრაციული რესურსი არის მატერიალური ფასეულობა - ქონება, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესასრულებლად. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირებს **ეკრძალებათ** შემდეგი სახის ადმინისტრაციული რესურსების **გამოყენება**:

- სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ფინანსდებიან საქართველოს სახელმწიფო

ბიუჯეტიდან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა;

- სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ფინანსდებიან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება;
- სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გამოყენება.

<u>ყურადღება!</u>

შეზღუდვა არ ვრცელდება საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ მათი სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენებაზე, გარდა სახელმწიფო რწმუნებულებისა - გუბერნატორებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი პირებისა, რომლებიც არჩეული არ არიან პირდაპირი არჩევნების გზით.

საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 49.3,4)

არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე **აკრძალულია** ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტში, ასევე იმ საბიუჯეტო პროგრამების ზრდა, რომლებიც არჩევნებამდე გათვალისწინებული იყო ბიუჯეტით, არაგეგმური ტრანსფერების ინიციირება ან გეგმური ტრანსფერის ზრდა ადგილობრივ ბიუჯეტში.

ყურადღება!
ამ წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება.

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში **აკრძალულია** სახელმწიფო/ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ისეთი ბეჭდვითი მასალის დამზადება, რომელშიც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი, ან/და რომელიც შეიცავს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერ/საწინააღმდეგო მასალას. **ასევე აკრძალულია** წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში სოციალურ რეკლამაში საარჩევნო სუბიექტის ან მისი რიგითი ნომრის გამოყენება.

თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 49.1,2,5)

წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, **ეკრძალება** კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, რაც გულისხმობს:

- სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმას ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას;
- სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვებას და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას;
- წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას.

ყურადღება!

შეზღუდვა არ მოქმედებს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, აგრეთვე იმ შემთხვევაზე, როცა ხდება ტელერადიომაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის გამოყენება.

საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე

აკრძალულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, პოლიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.

უწყებათაშორისი კომისია

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 48.3-9)

საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით საქართველოს საარჩევნო კოდექსის საფუძველზე, 2012 წლის 18 მაისიდან საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში - კომისია), რომლის შემადგენლობაში შედიან შინაგან საქმეთა, იუსტიციის, რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის, ფინანსთა, საგარეო საქმეთა სამინისტროებისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის წარმომადგენლები.[3]

კომისიის საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები, აგრეთვე პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც უწყებათაშორის კომისიას მიაწვდიან ინფორმაციას საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ.

3 კომისიის შემადგენლობა და დებულება იხ. შემდეგ ბმულზე: http://nsc.gov.ge/files/files/media/NSC%20Advisor%20Order.pdf

უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით კომისიის სხდომაზე შესაძლოა მიწვეულ იქნენ ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია **რეკომენდაციით მიმართოს** ნებისმიერ საჯარო მოსამსახურეს, ადმინისტრაციულ ორგანოს, ცესკოს გონივრულ ვადაში შესაბამისი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით.

2.10. წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა

ბეჭდვითი მედია

(საარჩევნო კოდექსის - მუხლი 50.2-4)

არჩევნების გამოცხადებიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე **ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების მქონე გაზეთმა** წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის გაზეთის ფართობის გამოყოფის შემთხვევაში იმავე გაზეთში ყოველკვირეულად უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია:

- რომელი რიცხვიდან, რა პერიოდულობით და რა დრომდეა გამოყოფილი გაზეთის ფართობი;
- გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე;

- უფასო ფართობის გამოყოფის შემთხვევაში – მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე;
- ფართობის ტარიფი და გაწეული მომსახურება.

არც ერთ საარჩევნო სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში ან ერთი კვირის განმავლობაში არ უნდა დაეთმოს გამოყოფილი ფართობის ერთ მესამედზე მეტი. ფართობის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის უნდა იყოს ერთნაირი.

სააგიტაციო წერილისა და პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას წერილის სათაურამდე და რეკლამის კუთხეში უნდა იყოს მითითებული წარწერა: „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“.

ყურადღება!
თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა მისი წილი გაზეთის ფართობი, გაზეთს უფლება აქვს, ეს ფართობი თანაბრად გადაუნაწილოს დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს.

გაზეთი, რომელიც არ ფინანსდება ცენტრალური, ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან სარგებლობს უფლებით, წინასაარჩევნო რეკლამა ნებისმიერი პირობით გამოუყოს ნებისმიერ საარჩევნო სუბიექტს.

სამაუწყებლო მედია

(საარჩევნო კოდექსის - მუხლი 50.1)

არჩევნების დღემდე 50-ე დღიდან (12 აგვისტო) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების დადგენამდე **ტელე და რადიოკომპანიებმა (მათ შორის, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა)** წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო **დროის გამოყოფის შემთხვევაში** საჯაროდ უნდა გამოაცხადონ და საქართველოს კომუნიკაციის ეროვნულ კომისიას ყოველკვირეულად გადასცენ ინფორმაცია:

- რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობითაა გამოყოფილი საეთერო დრო;
- ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი;
- საეთერო დროის ტარიფი;
- გაწეული მომსახურება.

ფასიანი და უფასო საეთერო დრო

(საარჩევნო კოდექსის - მუხლი 50, 51)

ტელე ან რადიოკომპანიის მიერ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი **ფასიანი დრო** არ უნდა აღემატებოდეს მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს, არც ერთ

საარჩევნო სუბიექტს არ უნდა დაეთმოს ამ დროის ერთ მესამედზე მეტი. ფასიანი დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის (როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური სუბიექტებისათვის) უნდა იყოს ერთნაირი.

ყურადღება!
თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა მისი წილი საეთერო დრო მაუწყებელს უფლება აქვს, ეს დრო თანაბრად გადაუნაწილოს დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს.

საერთო მაუწყებელი, აგრეთვე **მაუწყებელი**, რომელიც საკუთარ ეთერში განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას, ვალდებულია უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად გამოყოს დრო ყოველ **3 საათში 90 წამის ოდენობით** თითოეული **კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისათვის**.

ყურადღება!
გამოუყენებელი დროის შემდგომში დამატება სხვა კუთვნილი დროისათვის დაუშვებელია.

საზოგადოებრივი მაუწყებელი, აგრეთვე **სათემო მაუწყებელი**, რომელიც საკუთარ ეთერში განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას, ვალდებულია საკუთარ ეთერში განათავსოს წინასაარჩევნო რეკლამა ყოველ **საათში 60 წამის ოდენობით** თითოეული **კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისათვის**.

ყურადღება!
გამოუყენებელი დროის შემდგომში დამატება სხვა კუთვნილი დროისათვის დაუშვებელია.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების გარდა, ყველა სხვა პარტიისა და საარჩევნო ბლოკის წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების მიზნით გამოყოს დრო, რომელიც თანაბრად განაწილდება ამ სუბიექტებს შორის.

აკრძალულია:

- **კენჭისყრის დღეს** წინასაარჩევნო ფასიანი ან/და უფასო რეკლამის განთავსება ტელევიზიისა და რადიოს ეთერში;
- არჩევნების დღემდე 50-ე დღიდან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების დამტკიცებამდე ტელე და რადიოკომპანიების მიერ პოლიტიკური რეკლამის განთავსება სხვა დროს, გარდა ამ მიზნით გამოყოფილი დროის შუალედისა;
- ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნება შესაბამისი მითითების გარეშე (კადრის კუთხეში მითითებული უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან ”უფასო პოლიტიკური რეკლამა”).

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების გაშუქება

(საარჩევნო კოდექსის - მუხლი 51.1,2)

წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების და არჩევნების გაშუქების დროს დაცული უნდა იყოს მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპი.

საერთო მაუწყებელმა, რომელიც გადაწყვეტს, საკუთარ ეთერში გააშუქოს წინასაარჩევნო კამპანია, წინასაარჩევნო დებატები უნდა **გადასცეს არადისკრიმინაციულად** და ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით, თავისი მომსახურების ზონაში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

(საარჩევნო კოდექსის - მუხლი 50.5)

არჩევნების დანიშვნის დღიდან ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე და ამ დღიდან ერთი თვის განმავლობაში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებისას უნდა მიეთითოს:

- ☑ გამოკითხვის დამკვეთი (სახელწოდება საჯარო ან საარჩევნო რეგისტრაციის მიხედვით და იურიდიული მისამართი, თუ დამკვეთი იურიდიული პირი ან სახელმწიფო ორგანოა; გვარი, სახელი და მისამართი მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით, თუ დამკვეთი ფიზიკური პირია);
- ☑ გამოკითხვა ფასიანია თუ უფასო;
- ☑ ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა გამოკითხვა (სახელწოდება საჯარო ან საარჩევნო რეგისტრაციის მიხედვით და იურიდიული მისამართი);
- ☑ გამოკითხვის თარიღი;
- ☑ გამოკითხვის მეთოდი;

☑ გამოკითხვაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება, შესაძლო ცდომილების ფარგლები.

ყურადღება!
აკრძალულია კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა.

კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები

(საარჩევნო კოდექსის - მუხლი 51)

საერთო მაუწყებლის, მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალდებულება საეთერო დროის თანაბრად განაწილების, დებატებში მონაწილეობისას ერთნაირი პირობების შექმნისა და საარჩევნო რეკლამისათვის თანაბარი პირობების დადგენის შესახებ ვრცელდება მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებით.

კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტია პარტია ან ბლოკი, რომელშიც გაერთიანებული პარტია აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნას:

- დამოუკიდებლად მონაწილეობდა ბოლო საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ **4 პროცენტი**;
- დამოუკიდებლად მონაწილეობდა ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული

წესით ჩატარებულ არჩევნებში და მიიღო ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 3 პროცენტი ქვეყნის მასშტაბით;

- გაერთიანებული იყო საარჩევნო ბლოკში, რომელმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მიიღო ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4 პროცენტი, და იყო ამ ბლოკის პირველი ნომერი;
- გაერთიანებული იყო საარჩევნო ბლოკში, რომელმაც ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში მიიღო ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 3 პროცენტი ქვეყნის მასშტაბით, და იყო ამ ბლოკის პირველი ნომერი.

ადგილობრივი მაუწყებელი ვალდებულია ზემოთ აღნიშნული სუბიექტების გარდა, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს ასევე პოლიტიკური პარტია/ბლოკი:

- რომლის კანდიატმა (კანდიდატებმა) მისი მომსახურების ზონაში შემავალ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა (გაიმარჯვეს), არჩევნების მეორე ტურში გავიდა (გავიდნენ) ან მიიღო (მიიღეს) ხმების არანაკლებ 25 პროცენტისა;
- რომელმაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მიიღო ხმების არანაკლებ 25 პროცენტისა.

ადგილობრივი მაუწყებელი უფლებამოსილია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს:

- პოლიტიკური პარტია, რომელმაც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღო ხმების არანაკლებ 10 პროცენტისა;
- პოლიტიკური პარტია, რომელიც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული

საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ ზედიზედ 2 კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 25 პროცენტის მხარდაჭერით;

- ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატი, რომელიც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ ზედიზედ 2 კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 25 პროცენტის მხარდაჭერით;

მაუწყებელი უფლებამოსილია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 5 გამოკითხვის ან არჩევნებამდე 1 თვის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 4 პროცენტის მხარდაჭერით.

ყურადღება!

თუ პარტიებმა, რომლებიც გაერთიანდნენ საარჩევნო ბლოკში, გაერთიანებამდე გამოიყენეს უფასო საეთერო დრო, მათ მიერ გამოყენებული უფასო სარეკლამო დრო (გარდა ბლოკის პირველი ნომერი პარტიის უფასო სარეკლამო დროის ხანგრძლივობისა) უნდა გამოაკლდეს ბლოკისთვის, როგორც საარჩევნო სუბიექტისთვის, ბლოკის შექმნის შემდეგ გამოსაყოფი უფასო საეთერო დროის ხანგრძლივობას.

საზოგადოებრივი აზრის კვლევა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
(საარჩევნო კოდექსის - მუხლი 51.11)

- უნდა ეფუძნებოდეს წარმომადგენლობითი შემთხვევითი შერჩევის აღიარებულ მეცნიერულ მეთოდოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს შედეგების არანაკლებ 95-პროცენტიან საიმედოობას და რომლის ცდომილების ფარგლები 3 პროცენტს არ აღემატება;
- უნდა გამოქვეყნდეს საზოგადოებრივი აზრის კვლევის მეთოდოლოგიის საიმედოობისა და შედეგების ობიექტურობის გადამოწმების შემდეგ;
- იმავე ან სხვა შესადარებელი საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებში მნიშვნელოვანი განსხვავებების ან ცვლილებების არსებობისას შესაძლებელი უნდა იყოს ამ განსხვავებების ან ცვლილებების დამაჯერებელი მეცნიერული ახსნა;
- არ უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება ან თანხის მოზიდვის საშუალება, არ უნდა ჩატარდეს ტელეფონის, ფოსტის ან/და ინტერნეტის მეშვეობით;
- უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალე მეთოდოლოგიას, რომელიც იძლევა შედეგების დამოუკიდებელი გადამოწმების შესაძლებლობას;
- შედეგების გამოქვეყნებისას უნდა მიეთითოს:
  - ☑ ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის კვლევა;
  - ☑ საზოგადოებრივი აზრის კვლევის დამკვეთი ან დამფინანსებელი;
  - ☑ კვლევაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანამიმდევრობა;
  - ☑ საველე კვლევის ჩატარების დრო;
  - ☑ გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი;

- ☑ რა არეალში ან რა კატეგორიის ადამიანებში ჩატარდა შერჩევა;
- ☑ ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს;
- ☑ იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა;
- ☑ შერჩევის ზომა;
- ☑ ცდომილების ფარგლები;
- ☑ ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე.

<u>ყურადღება!</u>
დაუშვებელია მაუწყებლის მიერ სოციოლოგიური კვლევის შედეგების დისკრიმინაციული გამოყენება.

მედიამონიტორინგი

(საარჩევნო კოდექსის - მუხლი 51.15)

საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და სამაუწყებლო დროის სწორად გამოყენების მიზნით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უზრუნველყოფს მაუწყებლის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ნორმათა დაცვის მონიტორინგს და ახორციელებს შესაბამის რეაგირებას სამართალდარღვევის ფაქტებზე.

2.11. კენჭისყრის შენობის მოწყობა



კენჭისყრის პროცედურების ჩასატარებლად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან კანონით დადგენილი წესების დაცვით, კენჭისყრამდე არა უგვიანეს ერთი დღისა, მოაწყონ კენჭისყრის შენობა.

საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა მოაწყოს:

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 58.4.ა-გ)

- ამომრჩეველთა სარეგისტრაციო მაგიდები (ერთი სარეგისტრაციო მაგიდა ყოველ 300 ამომრჩეველზე *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.2.ე.ბ);*
- ფარული კენჭისყრის კაბინები: ერთი კაბინა ყოველ 500 ამომრჩეველზე. კაბინის ერთი მხარე ღია უნდა იყოს ნახევრამდე, ხოლო ზედა ნახევარი ფარდით დაფარული. ფარული კენჭისყრის კაბინაში უნდა იყოს საწერი კალამი; ამონარიდი კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია ბიულეტენი ბათილი;
- სპეციალური კონვერტების მაგიდა (უნდა იდგეს საარჩევნო ყუთთან ახლოს);
- აწყობილი საარჩევნო ყუთები (დალუქვის გარეშე).

კენჭისყრის შენობაში გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი თვალსაჩინო ადგილზე მოთავსებული უნდა იყოს ისე, რომ ამომრჩეველი დაუბრკოლებლად მივიდეს მასთან და კონვერტის ჩაშვების შემდეგ დაუყოვნებლივ დატოვოს საარჩევნო უბანი.

საუბნო საარჩევნო კომისია, ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების მიერ კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 25-ე დღის (6 სექტემბერი) მიმართვის შემთხვევაში, კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 20-ე დღისა (11 სექტემბერი) მიმართავს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომ მათ უზრუნველყონ კენჭისყრის ადგილის დროებითი, მარტივი ადაპტაცია *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 58.3).*

საარჩევნო უბანში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს:

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 58.4.დ; 58.5)

- ამომრჩეველთა სიები;
- არჩევნებში მონაწილე კანდიდატების სია (პარტიული სიები, მაჟორიტარ კანდიდატთა სიები);
- ცესკოს მიერ დადგენილი საარჩევნო ბიულეტენების შევსების წესი;
- ამონარიდი კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია ბიულეტენი ბათილი;
- კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმები.

თავი 3 კენჭისყრის დღე

ძირითადი აქტივობები	
3.1.	საარჩევნო უბნის გახსნა
3.2.	კენჭისყრის პროცესი
3.3.	საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება

3.1. საარჩევნო უბნის გახსნა

საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღის 07:00 საათზე. თუ ამ დროისთვის კომისიის წევრთა რაოდენობა შვიდზე ნაკლები აღმოჩნდა, აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდება საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.1).*

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან კენჭისყრის დღის განმავლობაში ატარონ მათთვის განკუთვნილი სპეციალური ფორმები. აღნიშნული მოთხოვნის

შეუსრულებლობა ზემდგომი საარჩევნო კომისიის მიერ განხილულ იქნება როგორც დისციპლინური გადაცდომა და წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 8.16; 39.3,6; 42.5; 44.5)

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ:

- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს;
- ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს/წარმომადგენლებს;
- საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს (ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის არაუმეტეს 1 წარმომადგენელს);
- რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს (ერთი და იმავე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის არაუმეტეს 1 დამკვირვებელს);
- რეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირვებლებს (ერთი და იმავე საერთაშორისო ორგანიზაციის არაუმეტეს 2 დამკვირვებელს (დამატებით შესაძლოა ახლდეს თარჯიმანი);
- მედიის აკრედიტებულ წარმომადგენლებს (პრესისა და მასობრივი ინფორმაციის ერთი და იმავე საშუალების არაუმეტეს 3 წარმომადგენელს);
- ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის წევრები და რეგიონალური წარმომადგენლობების უფროსები, რომლებიც უფლებამოსილები არიან კომისიის

გადაწყვეტილების საფუძველზე განახორციელონ ამომრჩეველთა ერთიანი სიის მონიტორინგი კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნებზე.

ყურადღება!
კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს აუცილებლად უნდა ეკეთოს მისი ვინაობისა და სტატუსის დამადასტურებელი სამკერდე ნიშანი.

საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61-62)

საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე პროცედურები ტარდება შემდეგი თანმიმდევრობით:

I საარჩევნო უბნის გახსნისთანავე იხსნება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.2.ა).*

კომისიის თავმჯდომარე, საარჩევნო უბნის გახსნისთანავე, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს. კომისიის მდივანი ვალდებულია, კომისიის თავმჯდომარესთან ერთად, აღრიცხოს კენჭისყრის დღის ყველა საარჩევნო პროცედურა და მიუთითოს მათი განხორციელების დრო *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 62.3).*

ჩანაწერთა წიგნის პირველ და მეორე გვერდებზე კომისიის მდივანს შეაქვს კენჭისყრის შენობაში მყოფი კომისიის ყველა წევრის სახელი და გვარი (მათი წარმდგენი სუბიექტის მითითებით) და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირის მონაცემები (სახელი, გვარი, წარმდგენი ორგანიზაცია ან საარჩევნო სუბიექტი) და ხელმოწერით ამოწმებინებს მათ.

II კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს დალუქული პაკეტის მთლიანობას, რომელშიც მოთავსებულია საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალური ბეჭედი, ხსნის დალუქულ პაკეტს და ბეჭედს უკეთებს პირველ ნაკვეთურს, რომლის ნიმუშიც აისახება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.2.ბ).*

III კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას ფუნქციათა გასანაწილებლად.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის გასანაწილებელი ფუნქციებია:

- ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი;
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი (არანაკლებ ერთი რეგისტრატორი ყოველ 300 ამომრჩეველზე);
- საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის 2 წევრი, რომლებიც არ უნდა იყვნენ ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საარჩევნო კომისიის წევრები.

ყურადღება!
წილისყრაში არ მონაწილეობენ კომისიის თავმჯდომარე/მოადგილე/კომისიის მდივანი.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წილისყრის ჩატარებამდე უნდა შეადაროს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობა და გასანაწილებელი ფუნქციების რაოდენობა.

იმ შემთხვევაში, თუ წილისყრის ჩატარების დროს დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა აღმოჩნდება გასანაწილებელ ფუნქციებზე:

- **1-ით ნაკლები**, მცირდება ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრების რაოდენობა;
- **2-ით ნაკლები**, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციას;
- **3-ით ნაკლები**, კომისიის თავმჯდომარე ასრულებს საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციას.

პირველ რიგში, კომისიის თავმჯდომარე ატარებს **წილისყრას გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები 2 წევრის გამოსავლენად**.

ყურადღება!
წილისყრით გამოვლენილი პირები არ შეიძლება იყვნენ ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი კომისიის წევრები *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.2.დ).*

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

- აანალიზებს პარტიების მიერ დანიშნული კომისიის რამდენი წევრი მონაწილეობს წილისყრის პროცესში;
- მათი რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის ფურცლებს;
- 2 ფურცელზე, ერთი და იმავე საწერი კალმით წერს ფუნქციის დასახელებას "გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები";
- წილისყრის ფურცლებს ამოწმებს კომისიის სპეციალური ბეჭდით;
- ფურცლებს კეცავს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის წაკითხვა და ათავსებს მაგიდაზე;
- წილისყრაში მონაწილე კომისიის წევრები სათითაოდ იღებენ წილისყრის ფურცლებს.

ყურადღება!

- **თუ პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრი უარს აცხადებს წილისყრაში მონაწილეობაზე, წილისყრა ტარდება პარტიების მიერ დანიშნულ დანარჩენ კომისიის წევრებს შორის.**
- **თუ წილისყრაში მონაწილე პარტიების მიერ დანიშნულ წევრთა რაოდენობა არ აღემატება ორს და ისინი არ არიან ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის მიერ დანიშნული წევრები, ამ შემთხვევაში წილისყრა არ ტარდება. გასანაწილებელი ფუნქცია მათ ავტომატურად მიენიჭებათ (თანხმობის საფუძველზე).**

ყურადღება!

- **თუ პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრები უარს აცხადებენ წილისყრაში მონაწილეობაზე ან წილისყრაში მონაწილე წევრთა რაოდენობა გასანაწილებელ ფუნქციებთან მიმართებაში ნაკლებია, წილისყრაში მონაწილეობას მიიღებენ კომისიის სხვა წევრებიც.**
- **თუ პარტიის მიერ დანიშნული წევრი უარს განაცხადებს წილისყრის შედეგად განაწილებული ფუნქციის შესრულებაზე, კომისიის თავმჯდომარე მას ჩაანაცვლებს წილისყრის შედეგად ფუნქციის გარეშე დარჩენილი კომისიის ნებისმიერი წევრით (სასურველია პარტიის მიერ დანიშნული წევრით).**

კომისიის მდივანს წილისყრის შედეგი შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღებ კომისიის წევრთა გამოვლენის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას სხვა ფუნქციების გასანაწილებლად.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

- აანალიზებს კომისიის რამდენი წევრი მონაწილეობს წილისყრის პროცესში;
- მათი რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის ფურცლებს;
- ფურცელზე, ერთი და იმავე საწერი საშუალებით წერს ფუნქციის დასახელებას "ნაკადის მომწესრიგებელი", "რეგისტრატორი", "საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი";

- წილისყრის ფურცლებს ამოწმებს კომისიის სპეციალური ბეჭდით;
- ფურცლებს კეცავს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის წაკითხვა და ათავსებს მაგიდაზე;
- წილისყრის მონაწილე კომისიის წევრები სათითაოდ იღებენ წილისყრის ფურცლებს.

კომისიის მდივანს წილისყრის შედეგები შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის დროებით გადაცემა კომისიის სხვა წევრისთვის შეიძლება მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით, რასაც კომისიის მდივანი აღნიშნავს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე *(საარჩევნო კოდექსი - 61.2.ზ).*

თუ კომისიის რომელიმე წევრი, კომისიაში გამოცხადდა წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, მისთვის ფუნქციის მინიჭების საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი შრომის ანაზღაურების საკითხს - საოლქო საარჩევნო კომისია *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.4).*

IV საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან წილისყრით გამოავლენს არა უმეტეს 2 წარმომადგენელს, რომლებიც დააკვირდებიან საჩივრების რეგისტრაციის პროცესს. *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.5).*

ყურადღება!
წილისყრაში არ მონაწილეობენ კომისიის მდივნის წარმდგენი პარტიის, აგრეთვე საარჩევნო ბლოკის, რომელშიც ასეთი პარტიაა, მიერ დანიშნული წარმომადგენლები *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.5).*

V კომისიის თავმჯდომარე აცხადებს ამომრჩეველთა რაოდენობას სიების მიხედვით, მიღებული საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების რაოდენობას *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.6.ა-გ).*

VI კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს და ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქით ლუქავს ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.6.გ).*

VII კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს გადასცემს მასალებს.

კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა რეგისტრატორებს გადასცემს:



- ანბანის მიხედვით დანაწილებულ ამომრჩეველთა ერთიან სიას, ერთ-ერთ რეგისტრატორს აგრეთვე გადასცემს ამომრჩეველთა სპეციალურ სიას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენების თითო ბლოკნოტს;

- წილისყრით გამოვლენილ რეგისტრატორის ბეჭედს, რომელსაც გადაცემამდე უკეთებს პირველ ნაკვეთურს (ბეჭდის ნიმუში აისახება ჩანაწერთა წიგნში) *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.8);*
- მარკირების სითხეს.

<u>ყურადღება!</u>
თავმჯდომარემ თითოეულ სარეგისტრაციო მაგიდასთან უნდა გამოაკრას ამომრჩეველთა გვარების ანბანური თანმიმდევრობა მაგიდაზე განლაგებული სიების შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს გადასცემს მარკირების შესამოწმებელ ულტრაიისფერ ფარანს.

კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველ კომისიის წევრს გადასცემს ძირითად საარჩევნო ყუთს და სპეციალურ კონვერტებს.

VIII ივსება საკონტროლო ფურცელი *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.10).*

კენჭისყრის დაწყებამდე კომისიის თავმჯდომარე და მდივანი ავსებენ საკონტროლო ფურცლებს (გარდა პირველი ამომრჩევლის შესახებ მონაცემებისა). საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი ხელს აწერს საკონტროლო ფურცელს.

ყურადღება!
კომისიის წევრებისათვის მასალების გადაცემის შემდეგ დაუყოვნებლივ, კენჭისყრის დაწყებამდე, უნდა შეივსოს საკონტროლო ფურცელი (ნუ დაელოდებით პირველ ამომრჩეველს).

პირველი ამომრჩევლის მოსვლისას ამომრჩეველი გადის რეგისტრაციას, იღებს ბიულეტენს, რის შემდეგაც კომისიის მდივანს საკონტროლო ფურცელში შეაქვს პირველი ამომრჩევლის მონაცემები.

კომისიის თავმჯდომარე საკონტროლო ფურცლის ერთ ეგზემპლარს აგდებს ძირითად საარჩევნო ყუთში, მეორე ეგზემპლარს – გადასატან საარჩევნო ყუთში, ხოლო მესამე ეგზემპლარს ინახავს საარჩევნო ყუთებში არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შემდგომი შედარების მიზნით.

საკონტროლო ფურცლის მონაცემები შეიტანება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე.

ყურადღება!
პირველი ამომრჩევლის მიერ რეგისტრაციის გავლის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარე საოლქო საარჩევნო კომისიას აცნობებს ყუთ(ებ)ის დალუქვის, საკონტროლო ფურცლ(ებ)ის ყუთ(ებ)ში ჩაგდების, კომისიის სპეციალურ ბეჭედსა და რეგისტრატორების ბეჭდებზე პირველი ნაკვეთურის გაკეთებისა და ნაკვეთურის ნიმუშის კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში ასახვის შესახებ.

კენჭისყრის ჩატარება

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 64- 65)

კენჭისყრა ტარდება კენჭისყრის დღის (1 ოქტომბერი) 08:00 საათიდან 20:00 საათამდე.
ხმის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი წესისა და თანმიმდევრობის დაცვით:

I კენჭისყრის ოთახში შესვლისას ამომრჩეველი ნაკადის მომწესრიგებელთან გადის მარკირების შემოწმების პროცედურას.

ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი:

- არეგულირებს საარჩევნო უბანში შემოსული ამომრჩევლების ნაკადს;
- სთხოვს ამომრჩეველს წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი;

ყურადღება!
საქართველოს საარჩევნო კოდექსის 185[1] მუხლით დადგენილი წესით არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს საარჩევნო სიაში რეგისტრირებულ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც დაბადებულია და ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოში. ასეთი პირი საარჩევნო უბანზე მისვლისას საქართველოს მოქალაქის პასპორტისა და პირადობის მოწმობის ნაცვლად წარადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს პასპორტს.

- ულტრაიისფერი ფარნით ამოწმებს, აღენიშნება თუ არა ამომრჩეველს მარკირება;
- ამოწმებს, თუ რამდენი ამომრჩეველი დგას ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან. თუ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი დგას, დროებით აყოვნებს კენჭისყრის ოთახში მორიგი ამომრჩევლის შესვლას;
- მიუთითებს ამომრჩეველს, მივიდეს იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის პირველი ასო.

ყურადღება!
თუ ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა, ხოლო მისი ვინაობა შეიტანება ჩანაწერთა წიგნში.

II ამომრჩეველი რეგისტრატორთან გადის რეგისტრაციას.

ამომრჩეველთა რეგისტრატორი:

- სთხოვს ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი, (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში – დევნილის მოწმობა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ერთად). ერთიან სიაში რეგისტრირებულ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს სთხოვს წარმოადგინოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს პასპორტი;

ყურადღება!
თუ ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები არ მოიძებნა, რეგისტრატორი ვალდებულია ამომრჩეველს მიუთითოს, მიმართოს ბოლო რეგისტრატორს მისი მონაცემების გადასამოწმებლად. აღნიშნული რეგისტრატორი ამომრჩევლის მონაცემებს ამოწმებს ამომრჩეველთა სიაში ანბანურად დალაგებული სიების შემდეგ შეყვანილ ამომრჩევლთა მონაცემებში, ჩანაწერით – „რეგისტრაციის მისამართიდან მოხსნილია“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ყურადღება!
თუ საარჩევნო უბანზე გამოცხადდა ამომრჩეველი, რომელსაც ერთიან სიაში მინიჭებული აქვს სტატუსი "არის საზღვარგარეთ", აღნიშნული ამომრჩეველი კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებს ზოგადი წესით.

- ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლის ყოფნის დადასტურების შემთხვევაში ახორციელებს მის მარკირებას (მარკირება არ გამოიყენება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, საავადმყოფოებსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში);

ყურადღება!
მარკირების პროცედურის გავლაზე უარის თქმის შემთხვევაში ამომრჩეველს არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება და მასზე საარჩევნო ბიულეტენ(ებ)ი არ გაიცემა.

- აკეთებს ხელმოწერას ამომრჩეველთა ერთიანი სიის სათანადო გრაფაში, ხოლო შემდეგ ამომრჩეველი ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) მიღებას;
- საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) გაცემისას ხელს აწერს მის (მათ) უკანა გვერდზე სათანადო გრაფაში და ბიულეტენს (ბიულეტენების) ამოწმებს სპეციალური ბეჭდით.

<u>ყურადღება!</u>
რეგისტრატორის ფუნქციის გადაცემის შემთხვევაში, რეგისტრატორი ვალდებულია გადაითვალოს სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერებისა და მის მიერ გაცემული ბიულეტენების რაოდენობა (თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული ბიულეტენების ჩათვლით) და შედეგები აცნობოს თავმჯდომარეს. ტოლობის არ არსებობის შემთხვევაში უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, რომელიც დაერთვება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს.

III ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს ბიულეტენს. საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება.

ყურადღება!

- **თუ ამომრჩეველს არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, მას უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 65.3).***
- **თუ ამომრჩეველს ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური კონვერტი, მათ ამის შესახებ უნდა აცნობონ კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარის დავალებით, რეგისტრატორი ვალდებულია ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული ბიულეტენი ახლით. კომისიის თავმჯდომარე გაფუჭებულ ბიულეტენს, ამომრჩევლის თანდასწრებით, ჩამოაჭრის კუთხეს, დააწერს „გაფუჭებულია“ და აწერს ხელს. კომისიის თავმჯდომარე გაფუჭებულ ბიულეტენს ინახავს ცალკე *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 65.4).***

IV ამომრჩეველი მიდის განცალკევებით მდგარ მაგიდასთან და სპეციალური კონვერტების ზედამხედველის მითითებით იღებს სპეციალურ კონვერტს, ათავსებს მასში ბიულეტენს (ბიულეტენებს).

საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი:

მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს, ხსნის საარჩევნო ყუთის ჭრილს და მიუთითებს ამომრჩეველს მოათავსოს სპეციალური კონვერტი საარჩევნო ყუთში.

V ამომრჩეველი სპეციალურ კონვერტს აგდებს საარჩევნო ყუთში.

ყურადღება!

- **საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება.**
- **დამკვირვებელს, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს უფლება აქვს დააკვირდეს საარჩევნო ყუთს, საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტების ჩაყრას.**

VI კონვერტის ყუთში ჩაშვების შემდეგ ამომრჩეველი ტოვებს საარჩევნო უბანს.

ფიზიკური მდგომარეობის გამო ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის პროცედურა

(საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 ივნისის №20/2012 დადგენილება)

ამომრჩეველი, რომელიც ზედა კიდურების არ ქონის გამო ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების (მარკირება, ხელისმოწერა ბიულეტენის მიღებაზე, ბიულეტენის მოთავსება საარჩევნო ყუთში) დამოუკიდებლად შესრულებას (ფიზიკური მდგომარეობა) კენჭისყრაში მონაწილეობს შემდეგი პროცედურების გათვალისწინებით:

- ამომრჩეველი არ გადის მარკირების შემოწმებისა და მარკირების პროცედურას;
- მასზე საარჩევნო ბიულეტენ(ებ)ის გაცემისას ამომრჩეველთა რეგისტრატორი, ამომრჩეველთა ერთიანი სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა", აკეთებს ჩანაწერს „ფიზიკური მდგომარეობა" და აღნიშნულს ადასტურებს პირადი ხელმოწერით;
- ამომრჩეველს უფლება აქვს დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა;
- აღნიშნული ამომრჩევლის ნაცვლად, მისი თანდასწრებით, ბიულეტენ(ებ)ს სპეციალურ კონვერტში ათავსებს და შემდეგ საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი რომელიც დაეხმარება მას კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) შევსებაში.

კენჭისყრის დღეს წესრიგის დაცვა კენჭისყრის შენობაში

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 59)

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ, კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვის მიზნით, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირისა და ამომრჩევლისათვის.

საუბნო საარჩევნო კომისიას უფლება აქვს, კომისიის მუშაობისთვის ხელის შემლისა და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, წესრიგის დამრღვევი გააძევოს კომისიის განთავსების შენობიდან. დამრღვევის გაძევების შემთხვევაში დგება შესაბამისი აქტი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

ყურადღება!

- **დაუშვებელია კენჭისყრის შენობაში შეიარაღებულ პირთა შესვლა.**
- **თუ კენჭისყრის შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხე ექმნება კენჭისყრის ჩატარებას ან საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხო გადაადგილებას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით შეიძლება გამოძახებულ იქნენ და დარღვევის აღკვეთამდე კენჭისყრის შენობაში/მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ პოლიციის მუშაკები.**

კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა აღრიცხვა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 65.6)

რეკომენდირებულია რეგისტრატორებმა 10:00, 12:00, 15:00, 17:00 და 19:00 საათზე, კენჭისყრის პროცესისთვის ხელისშეუშლელად, გადაითვალონ სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერებისა და მათ მიერ გაცემული ბიულეტენების რაოდენობა (თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული ბიულეტენების ჩათვლით).

ყურადღება!

თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, რეგისტრატორმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, რომელიც დაერთვება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს.

კომისიის მდივანს ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა 12:00 და 17:00 საათის მდგომარეობით შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმებსა და ჩანაწერთა წიგნში და აცნობებს საოლქო საარჩევნო კომისიას.

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემა

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 09:00 საათიდან და სრულდება 19:00 საათზე. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ ილუქება საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდები ჭრილი. გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანში უნდა დაბრუნდეს არა უგვიანეს 20 საათისა *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 66.1).*

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, სურვილისამებრ, უფლება აქვთ დააკვირდნენ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცედურას. გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემისას ავტომანქანის გამოყენების შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისია

ვალდებულია გამოყოს ადგილი ავტომანქანაში კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან **წილისყრით გამოვლენილი 2 მეთვალყურისათვის.**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ კომისიის წევრებს გადასცემს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 66.3):*

- დალუქულ გადასატან საარჩევნო ყუთს, რომელშიც მოთავსებულია საკონტროლო ფურცელი;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას;
- სპეციალურ კონვერტებს;
- ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით დამოწმებულ საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენებს.

ზემოაღნიშნული მონაცემები კომისიის მდივანს შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე.

ყურადღება!
მარკირება არ გამოიყენება გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა მიმართ *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 64.5).*

ფიზიკური მდგომარეობის მქონე ამომრჩევლის მიერ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის შემთხვევაში, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის გრაფაში – „ამომრჩევლის ხელმოწერა" – გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრი აკეთებს ჩანაწერს „ფიზიკური მდგომარეობა" და ადასტურებს პირადი ხელმოწერით.

აღნიშნული ამომრჩევლის ნაცვლად ბიულეტენს (ბიულეტენებს) ავსებს, სპეციალურ კონვერტში ათავსებს და კონვერტს აგდებს გადასატან საარჩევნო ყუთში, ამომრჩევლის თანდასწრებით მის მიერ არჩეული პირი (გარდა: საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა) *(საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 ივნისის №20/2012 დადგენილება).*

გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებმა კომისიის წევრებმა კენჭისყრის შენობაში დაბრუნების შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს უნდა გადასცენ გამოუყენებელი ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები. კომისიის მდივანმა ასეთ ბიულეტენებს და სპეციალურ კონვერტებს უნდა ჩამოაჭრას კუთხე, დააწეროს „გაფუჭებულია“ და კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერის შემდეგ ცალკე შეინახოს.

3.3. საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება

საარჩევნო უბნის დახურვა



კენჭისყრის პროცედურა სრულდება და კენჭისყრის შენობა იკეტება 20:00 საათზე. ამ დროისათვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარებსა და სახელებს და მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო

კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში აღნიშნავს რიგში მდგომი ამომრჩევლების რაოდენობას. როგორც კი ბოლო ამომრჩეველი მისცემს ხმას, კენჭისყრა დასრულებულად ცხადდება, რის შემდეგაც საუბნო საარჩევნო კომისია ლუქავს საარჩევნო ყუთის ჭრილს *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 65.8).*

<u>ყურადღება!</u>

- **გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია კენჭისყრა დამთავრებულად გამოაცხადოს 20 საათამდე ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეყვანილმა ყველა ამომრჩეველმა.**
- **კენჭისყრის დასრულების შემდეგ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისია ლუქავს საარჩევნო ყუთის ჭრილს, ამომრჩეველთა სიას, გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს (ბიულეტენებს დალუქვამდე ჩამოეჭრება კუთხე).**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა პირმა, ხმების დათვლისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების გარდა, დატოვოს საარჩევნო უბანი. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში უნდა მიუთითოს ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფ პირთა ვინაობა.

ყურადღება!

კენჭისყრის შენობის დაკეტვის შემდეგ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრულ საარჩევნო უბნის შენობაში შეაქვთ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთი და დალუქული საარჩევნო დოკუმენტაცია.

საარჩევნო უბნის მოწყობა ხმების დათვლის პროცედურისთვის

კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მიდის თითოეულ რეგისტრატორთან, რომლებიც კომისიის თავმჯდომარის მითითებით (კენჭისყრის დასრულებამდე რეგისტრატორების მიერ დაწერილ ახსნა-განმარტებებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით) ითვლიან:

გაცემული ბიულეტენების რაოდენობას − **გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა** = **ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობის**

ყურადღება!

- **თუ ტოლობა არ შედგა, რეგისტრატორმა ხელახლა უნდა გადათვალოს და დააზუსტოს რაოდენობა. თუ ტოლობა კვლავ არ შედგა, რეგისტრატორმა უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება (მიზეზის მითითებით), რომელიც თან უნდა დაერთოს შემაჯამებელ ოქმებს.**
- **რეგისტრატორების ახსნა-განმარტებებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებული მონაცემები გათვალისწინებულ უნდა იქნას კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმებს შედგენისას.**

კენჭისყრის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, კომისიისა და ამომრჩეველთა რეგისტრატორის ბეჭდებს უკეთებს მეორე ნაკვეთურს. ნაკვეთურიანი ბეჭდების ნიმუში აისახება ჩანაწერთა წიგნში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.1).*

კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, კომისიის წევრთაგან წილისყრით შეარჩევს არანაკლებ სამ მთვლელს, ხოლო დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან, ურთიერთშეთანხმებით, შეარჩევენ არა უმეტეს ორ მეთვალყურეს. თუ დამკვირვებლები ვერ შეთანხმდებიან, მათგან ორ მეთვალყურეს წილისყრით გამოავლენს კომისიის თავმჯდომარე *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.1).*

მთვლელების გამოსავლენად წილისყრა შემდეგი წესის დაცვით მიმდინარეობს - საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

- აანალიზებს კომისიის რამდენი წევრი მონაწილეობს წილისყრის პროცესში;
- მათი რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის ფურცლებს;
- ფურცლებზე, ერთი და იმავე საწერი საშუალებით წერს ფუნქციის დასახელებას “პირველი მთვლელი”, “მეორე მთვლელი”, “მესამე მთვლელი”;
- წილისყრის ფურცლებს ამოწმებს კომისიის სპეციალური ბეჭდით;
- ფურცლებს კეცავს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის წაკითხვა და ათავსებს მაგიდაზე.

წილისყრის მონაწილე კომისიის წევრები სათითაოდ იღებენ წილისყრის ფურცლებს. წილისყრის შედეგები კომისიის მდივანს შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 61.2.ვ).*

საარჩევნო უბანზე მყოფი წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს არა უმეტეს 2 წარმომადგენელს, რომლებიც კომისიის წევრთაგან წილისყრით გამოვლენილ მთვლელებთან ერთად მონაწილეობენ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.2).*

ყურადღება!

წილისყრაში არ მონაწილეობენ იმ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები, რომელთა მიერ დანიშნული კომისიის წევრები არიან წილისყრით გამოვლენილი მთვლელები *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.2).*

კომისიის თავმჯდომარე და მთვლელები ხმების დათვლის პროცედურისთვის ამზადებენ საარჩევნო უბანს:

- მთვლელები იკავებენ ადგილს მაგიდის ერთ მხარეს;
- კომისიის თავმჯდომარე იკავებს ადგილს ისე, რომ მან შეძლოს ყველა მთვლელის დანახვა;
- კომისიის მდივანი ადგილს იკავებს თავმჯდომარის გვერდით და ავსებს ჩანაწერთა წიგნს;

- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე დანარჩენი პირები ადგილს იკავებენ მაგიდისგან (მთვლელებისაგან) ორი მეტრის დაშორებით *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 68.3).*

კომისიის თავმჯდომარემ მთვლელების მაგიდასთან უნდა მიიტანოს:

- ამომრჩეველთა ერთიანი სია, სპეციალური სია, გადსატანი საარჩევნო ყუთის სია;
- გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები;
- გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები;
- ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები;
- შესადარებლად შენახული საკონტროლო ფურცელი;
- სანთლები, ფარანი (ელექტროენერგიის შეწყვეტის შემთხვევისთვის);
- კალკულატორი.

საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67)

მთვლელები თანამიმდევრულად ითვლიან კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.3):*

- ამომრჩეველთა ერთიანი სიის მიხედვით;
- სპეციალური სიის მიხედვით;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის მიხედვით.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს შედეგები დაუყოვნებლივ შეაქვს სადემონსტრაციო ოქმებსა და ჩანაწერთა წიგნში.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს ჩამოაჭრის კუთხეს. გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს კრავს ცალ-ცალკე პაკეტებად. *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.4).*

ამომრჩეველთა სიების, გაფუჭებული და გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების დალუქვა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.3; 67.4):

კომისიის მდივანი ცალ-ცალკე ლუქავს:

- ამომრჩეველთა ერთიან სიას;
- სპეციალურ სიას;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას;

მთვლელები ცალ-ცალკე ლუქავენ:

- გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს;
- გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს;

მთვლელები თითოეულ პაკეტზე მიუთითებენ საარჩევნო უბნის დასახელებას და ნომერს, საარჩევნო დოკუმენტაციის სახეს. კონვერტს ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე.

გადასატანი საარჩევნო ყუთის გახსნა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 68.1,2,4)

კომისია თავდაპირველად ხსნის გადასატან საარჩევნო ყუთს.
კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, ამოწმებს საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობას.

ყურადღება!
თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ყუთი ილუქება და საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებასთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

მთვლელები გადასატან საარჩევნო ყუთში არსებულ სპეციალურ კონვერტებს ათავსებენ მაგიდაზე, რის შემდეგაც:

- ამოწმებენ გადასატან საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას;
- ყუთში არსებულ საკონტროლო ფურცელს უდარებენ კომისიაში შედარების მიზნით შენახულ საკონტროლო ფურცელს;
- თუ დარღვევა არ გამოვლინდა, კომისიის თავმჯდომარე მიუთითებს მთვლელებს დროებით დააბრუნონ სპეციალური კონვერტები გადასატან ყუთში.

ყურადღება!

თუ გადასატან საარჩევნო ყუთში არ აღმოჩნდა საკონტროლო ფურცელი, ან საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიკვრება პაკეტად, დაეწერება „ბათილია“. დოკუმენტაცია საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემ-დეგ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას.

ძირითადი საარჩევნო ყუთის გახსნა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 68.1,2,5)

კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, ამოწმებს საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობას.

ყურადღება!

თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ყუთი ილუქება და საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებასთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას.

მთვლელები:

- ძირითად საარჩევნო ყუთში არსებულ სპეციალურ კონვერტებსა და საარჩევნო ბიულეტენებს ათავსებენ მაგიდაზე;
- ამოწმებენ ძირითად საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას და მას უდარებენ კომისიაში შედარების მიზნით შენახულ საკონტროლო ფურცელს.

ყურადღება!

თუ საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა ან ძირითად საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიფუთება, დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას.

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთის გახსნა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 67.7-8)

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იხსნება მას შემდეგ, რაც გაიხსნება ძირითადი საარჩევნო უბნის გადასატანი და ძირითადი საარჩევნო ყუთები.

თუ საარჩევნო ყუთის (ყუთების) გახსნისას ხარვეზი არ გამოვლინდება, მთვლელები ერთმანეთში ურევენ ძირითადი, გადასატანი და გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საარჩევნო უბნის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საარჩევნო ყუთებიდან გადმოყრილ სპეციალურ კონვერტებს და იწყებენ საარჩევნო ბიულეტენების დათვლას.

ხმის დათვლის პროცედურა

მთვლელები იკავებენ ადგილს მაგიდის ერთ მხარეს, მათ გვერდით დგება დამკვირვებელთაგან გამოვლენილი ორი მეთვალყურე და წილისყრით გამოვლენილი საარჩევნო სუბიექტების ორი წარმომადგენელი.

საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 69)

პირველი მთვლელი:

- სპეციალური კონვერტიდან იღებს საარჩევნო ბიულეტენს;
- აცხადებს, ვისთვისაა მიცემული ხმა;
- ერთი სახის საარჩევნო ბიულეტენს გადასცემს მეორე მთვლელს, მეორე სახისას – მესამე მთვლელს და ა.შ;
- სპეციალურ კონვერტს დებს ცალკე.

მთვლელები ცალ-ცალკე აწყობენ:

- თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემულ ხმებს;
- ბათილად მიჩნეულ ბიულეტენებს;
- საეჭვოდ მიჩნეულ ბიულეტენებს.

დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, თუ:

- სპეციალური კონვერტი არ არის დადგენილი ნიმუშის;
- სპეციალურ კონვერტში აღმოჩნდა დადგენილ რაოდენობაზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი;
- საარჩევნო ბიულეტენი საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა სპეციალური კონვერტის გარეშე;
- საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის ამომრჩეველთა რეგისტრატორის ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით;
- შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა;
- საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილი იყო სხვა საარჩევნო უბნისთვის (ასეთი ბიულეტენები ცალკე პაკეტად იკვრება და მათი რაოდენობა აღინიშნება მხოლოდ ჩანაწერთა წიგნში). აღნიშნული მონაცემები შემაჯამებელ ოქმებში არ შეიტანება.

საარჩევნო ბიულეტენების დახარისხების დასრულების შემდეგ, კომისია განიხილავს და კენჭისყრით წყვეტს საეჭვოდ მიჩნეული ბიულეტენების ნამდვილობის საკითხს.

ნამდვილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენს კომისიის თავმჯდომარე დებს ნამდვილი ბიულეტენების დასტაში (საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემული ხმის მიხედვით), ხოლო ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენს - ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების დასტაში.

საარჩევნო ბიულეტენების დათვლა

ბიულეტენების დახარისხების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს დაითვალონ:

- ბათილად მიჩნეული ბიულეტენები;
- თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემული ხმები.

ყურადღება!
საარჩევნო სუბიექტისთვის კუთვნილი ყოველი 10 საარჩევნო ბიულეტენი იკვრება ლითონის შემკერით და ყოველ შეკვრას, როგორც სრულს, ისე არასრულს, ზემოდან ეწერება შეკრული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა. ეს შეკვრები, თავის მხრივ, იკვრება დასტად.

კომისიის თავმჯდომარე აცხადებს თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას. კომისიის მდივანი თავმჯდომარესთან ერთად, მონაცემების სისწორის გადამოწმების მიზნით ამოწმებს:

სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობას + **ბათილი ბიულეტენების რაოდენობა** ≤ **ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობის**

თუ ტოლობა არ შედგა, კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს გადაითვალონ მონაცემები. შედეგები კომისიის მდივანს შეაქვს ჩანაწერთა წიგნში და სადემონსტრაციო ოქმებში.

საარჩევნო ბიულეტენების დალუქვა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 69.6,9)

საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს ცალ-ცალკე კონვერტში დალუქონ:

- ბათილი ბიულეტენები (მათ ეწერება „ბათილია“);
- საარჩევნო სუბიექტის კუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების დასტა.

ყურადღება!

საარჩევნო სუბიექტის კუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების დასტას უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, საარჩევნო სუბიექტის მონაცემები (დასახელება, სახელი და გვარი) და მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, აგრეთვე ამ დასტაში ჩადებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.

თითოეულ კონვერტს მთვლელები აწერენ ოლქისა და უბნის ნომერს, საარჩევნო ბიულეტებენის სახეობასა და რაოდენობას. კონვერტს დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 71)

კომისიის მდივანი თავმჯდომარესთან შეთანხმებით ავსებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და რეგისტრაციაში ატარებს სარეგისტრაციო ჟურნალში.

<u>ყურადღება!</u>

- რეგისტრატორების ახსნა-განმარტებებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებული მონაცემები გათვალისწინებულ უნდა იქნას კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმების შედგენისას.
- კომისიის ყველა წევრი ვალდებულია, ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს.
- თუ კომისიის წევრი არ ეთანხმება შემაჯამებელ ოქმებში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს ოქმებს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი, მაგრამ ვალდებულია ოქმებს მოაწეროს ხელი.
- აკრძალულია შემაჯამებელ ოქმებში შეტანილი მონაცემების გადასწორება.
- შეცდომის გამოსასწორებლად შემაჯამებელ ოქმებში შესაბამისი მონაცემის გასწვრივ კეთდება წარწერა „შესწორებულია“ და დგება შესწორების ოქმი.

შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა

(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 71.8)

საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ასლი გამოაკრას საჯარო გაცნობისათვის.

კომისია ოქმების ასლს, კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით (ასეთის არსებობისას), მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადასცემს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებს ან პარტიის მიერ დანიშნულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს და დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს.

ოქმის ასლი უნდა დამოწმდეს კომისიის ბეჭდით და კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით. ოქმის ასლის მიღებას მიმღები პირი ადასტურებს ჩანაწერთა წიგნში ხელმოწერით.

კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები, შესწორების ოქმსა და რეგისტრატორების წერილობით ახსნა-განმარტებებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს ცესკოს.

სარეგისტრაციო ჟურნალის, ჩანაწერთა წიგნის დალუქვა, საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემა საოლქო საარჩევნო კომისიისთვის

ყველა პროცედურის დასრულების შემდეგ იხურება კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალი და ჩანაწერთა წიგნი, მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი და იგი მოწმდება კომისიის ბეჭდით.

კომისია ლუქავს:

- ჩანაწერთა წიგნს და განცხადება/საჩივრებს;
- საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალურ ბეჭედს (კომისიის ბეჭდის დალუქულ პაკეტს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი).

ყურადღება !
შემაჯამებელი ოქმები არ ილუქება.

კომისიის უფლებამოსილი პირები საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემენ ინვენტარსა და საარჩევნო დოკუმენტაციის ყუთს/ ტომარას, რომელშიც მოთავსებულია დალუქული საარჩევნო დოკუმენტაცია. ამასთან დაკავშირებით დგება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ საარჩევნო დოკუმენტაციის გამცემი და მიმღები პირები, რის შემდეგაც თითოეულს გადაეცემა აქტის თითო ეგზემპლარი.

თავი 4

კენჭისყრის დღის შემდგომი პერიოდი

	ძირითადი აქტივობები
4.1.	საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება
4.2.	ცესკოს მიერ არჩევნების შედეგების შეჯამება

4.1. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება

საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, კენჭისყრიდან არა უგვიანეს მე-11 დღისა საოლქო საარჩევნო კომისია აჯამებს საქართველოს პარლამენტის კენჭისყრის შედეგებს და ადგენს შემაჯამებელ ოქმს.

საოლქო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი, რომელიც ესწრება კომისიის სხდომას, ვალდებულია ხელი მოაწეროს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს. ოქმი მოწმდება საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით.

თუ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება შემაჯამებელ ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს, ოქმში აღნიშნოს, რას არ ეთანხმება და ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი.

საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის ასლი (საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით) მისი მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადაეცემა პარტიის/საარჩევნო სუბიექტის/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებს და დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს. ოქმის ასლი უნდა დამოწმდეს საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის ხელმოწერებით (ამ ოქმების იურიდიული ძალა ისეთივეა, როგორიც საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმისა). ოქმის მიღებას დამკვირვებელი საოლქო საარჩევნო კომისიის ჩანაწერთა წიგნში ხელმოწერით ადასტურებს.

4.2. ცესკოს მიერ არჩევნების შედეგების შეჯამება

ცესკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული ოქმებისა და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების საფუძველზე, არჩევნების დღიდან არა უგვიანეს მე-19 დღისა, თავის სხდომებზე აჯამებს საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგებს და ადგენს ოქმს.

ყურადღება!

ცესკო საარჩევნო უბნებიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შემოსვლის პარალელურად უზრუნველყოფს ამ ოქმების მონაცემთა ცესკოს ვებ-გვერდზე განთავსებას.

არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს ხელს აწერენ ცესკოს თავმჯდომარე და ცესკოს მდივანი. ოქმის ერთი ეგზემპლარი ინახება ცესკოში. ოქმის ასლები გადაეცემა ყველა დაინტერესებულ პირს. არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებისთანავე ცესკო თავის ვებ-გვერდზე აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით და არა უგვიანეს მომდევნო დღისა **გადასცემს მას პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს.**

5.1. საუბნო საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესი

განცხადება/საჩივრები	საარჩევნო უბნის გახსნიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე

განცხადება/საჩივრის შემდგენ პირებს:

- პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს
- ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს
- არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის დამკვირვებლებს

უფლება აქვთ საარჩევნო უბნის გახსნიდან **(7 საათიდან)** საარჩევნო ყუთის გახსნამდე, საუბნო საარჩევნო კომისიისა და მის ცალკეულ წევრთა მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების (გარდა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის) გამო, განცხადება/საჩივრით მიმართონ საუბნო ან ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო

რეაგირება განცხადება/საჩივარზე და აღმოფხვრას არსებული დარღვევა.

თუ კომისიის თავმჯდომარემ არ ან ვერ აღმოფხვრა დარღვევა, ან სხვაგვარი ფორმით უარი განაცხადა რეაგირებაზე, განმცხადებელს/მომჩივანს უფლება აქვს იმავე დარღვევაზე განცხადება/საჩივარი დაუყოვნებლივ წარუდგინოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

განცხადება/საჩივრები	საარჩევნო ყუთის გახსნიდან შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე

განცხადება/საჩივრის შემდგენ პირებს:

- პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს
- ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს
- არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის დამკვირვებლებს

უფლება აქვთ საარჩევნო ყუთის გახსნიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე (გარდა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის), საუბნო ან ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრონ ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევები და მოითხოვონ კენჭისყრის შედეგების გადასინჯვა ან ბათილად ცნობა.

წარდგენილ განცხადება/საჩივარს საუბნო საარჩევნო კომისია გადასცემს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

განცხადება/საჩივარი იმავე ვადაში იმავე დარღვევებზე საოლქო საარჩევნო კომისიას შეიძლება გადასცეს უშუალოდ განმცხადებელმა/მომჩივანმა.

განცხადება/საჩივრები	საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრების შესახებ

განცხადება/საჩივრის შემდგენ პირებს:

- საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის წარმომადგენელს
- საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს
- ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში
- არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას

უფლება აქვთ ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში, ოქმის შედგენიდან **3 კალენდარული დღის ვადაში**, გაასაჩივრონ შემაჯამებელი ოქმი, თუ დადგინდება, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი შედგენილია საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით.

5.2. საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის განხილვის წესი

ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებულ განცხადება/საჩივარს საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადების/საჩივრის **რეგისტრაციიდან 1 კალენდარული დღის ვადაში**. საოლქო საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს განკარგულებით, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ **სასამართლოში 2 კალენდარული დღის ვადაში**.

საუბნო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან **3 კალენდარული დღის** ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისია საჩივარს **იხილავს 1 კალენდარული დღის ვადაში**. მიღებული გადაწყვეტილება **2 კალენდარული დღის ვადაში** შეიძლება გასაჩივრდეს **სასამართლოში**. საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელ პირთა გადაწყვეტილებები, გარდა ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებებისა, მისი მიღებიდან **1 კალენდარული დღის ვადაში** შეიძლება გასაჩივრდეს **ცესკოში**.

5.3. ცესკოში განცხადება/საჩივრის განხილვის წესი

საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ სუბიექტებს უფლება აქვთ განცხადება/საჩივრით მიმართონ ცესკოს:

- საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებზე
- საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე

საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებების გამო შეტანილ საჩივარს ცესკო იხილავს 1 კალენდარული დღის ვადაში. მიღებული გადაწყვეტილება 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ცესკოს/ცესკოს ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილება (მათ შორის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა) შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში კომისიის მიერ მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

5.4. საჩივრების რეესტრი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე არსებულ საჩივრების რეესტრში (http://sachivrebi.cec.gov.ge/) ამომრჩევლებისთვის და ყველა დაინტერესებული პირისა თუ ორგანიზაციისთვის საჩივრებისა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულად მიწოდების მიზნით, საარჩევნო პერიოდში თავსდება:

- ცესკოში შემოსული საჩივრები და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- ინფორმაცია საარჩევნო პერიოდში, საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებულ, ცესკოს მონაწილეობით გამართული, სასამართლო პროცესების შესახებ;
- საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული საჩივრები და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია; კერძოდ: რეგისტრაციის ნომერი, შემოტანის თარიღი, შემომტანი, განცხადება/საჩივარი, განხილვის ადგილი და თარიღი, გადაწყვეტილება, განცხადების/საჩივრის და გადაწყვეტილების დასკანირებული ვერსია;
- საუბნო საარჩევნო კომისიებში შესული საჩივრები და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია. კერძოდ: რეგისტრაციის ნომერი, შემოტანის თარიღი, შემომტანი, განცხადება/საჩივარი, განხილვის ადგილი და თარიღი, გადაწყვეტილება, განცხადება/საჩივარი და გადაწყვეტილების დასკანირებული ვერსია.

რეესტრში განთავსებული ინფორმაცია საჯაროა. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ გამოიყენონ რეესტრში განთავსებული ინფორმაცია ვებ-მისამართის სავალდებულო მითითებით.

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

გამოცემა დაფინანსებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ. გამოცემის შინაარსი წარმოადგენს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის პასუხისმგებლობას და არ გამოხატავს ევროკავშირისა თუ გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

This publication has been produced with the assistance of the European Union (EU) and United Nations Development Programme (UNDP).The contents of this publication are the sole responsibility of the Centre of Electoral System Development,Reforms and Trainings and can in no way be taken to reflect the views of the EU or UNDP.

Empowered lives.
Resilient nations.